**რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე**

№458/თ

„07“ სექტემბერი, 2023 წელი
ქ. რუსთავი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოებში მორიგე მოსამართლის განსახილველ ცალკეულ საქმეთა სახეობების განსაზღვრის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი“-ს მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად

# ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს *ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე* სამუშაო და არასამუშაო დღეებში მორიგეობისას განიხილავს მორიგეობის დროს შემოსულ შემდეგი სახეობის საქმეებს:

ა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, $45^1$-ე, 116-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებით, 142-ე, $153^3$ -ე, 154-ე, 166-ე, 171-ე, 173-ე, $174^1$, $174^2$ -ე, $175^2$-ე და სამართალდარღვევის საქმეებს, რომელზეც სამართალდამრღვევი დაკავებულია და ექვემდებარება დაუყონებლივ განხილვას;
ბ) შუამდგომლობებს პირის ფსიქიატრიული დახმარების მიზნით არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით სტაციონარულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;
გ) შუამდგომლობებს მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ;
დ) შუამდგომლობებს სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ;
ე) მიგრაციის დეპარტამენტის შუამდგომლობებს პირის დროებით განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ;
ვ) შემაკავებელ ორდერზე საჩივრებს და შუამდგომლობებს არასრულწლოვნის მოძალადე მშობლისაგან (მშობლებისაგან) განცალკევების საკითხზე;
ზ) საჩივრებს შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტის კანონიერების საკითხზე;
თ) ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულ შუამდგომლობებს;
ი) შუამდგომლობებს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების და ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების გაუქმების შესახებ;
კ) შუამდგომლობებს სამედიცინო სფეროში საქმიანობის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერების დამტკიცების შესახებ;
ლ) პატიმრობის კოდექსის 90-ე მუხლით გათვალისწინებულ შუამდგომლობებს დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს *სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე* არასამუშაო დღეებში მორიგეობისას განიხილავს მისი მორიგეობისას შემოსულ, 72 საათამდე ვადაში განსახილველ საქმეებს მათ შორის:

ა) შუამდგომლობებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების და/ან წინა სასამართლო სხდომის განსაზღვრის შესახებ;
ბ) შუამდგომლობებს სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;
გ) შუამდგომლობებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე;
დ) საჩივრებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე;
ე) შუამდგომლობებს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის ან სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარების საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ;
ვ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ შუამდგომლობებს;
ზ) შუამდგომლობებს, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების, ბრალდებულისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ან სამგზავრო დოკუმენტის შეჩერების შესახებ;
თ) შუამდგომლობებს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და პირის ფსიქიატრიულ დახმარების მიზნით სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;
ი) შუამდგომლობებს ბრალდებული პირის მიმართ საექსტრადაციო პატიმრობის შეფარდების და ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
კ) შუამდგომლობებს დაკავშირებულს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან;
ლ) შუამდგომლობებს საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის მხარისთვის დავალდებულების შესახებ.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოებში მორიგე მოსამართლის განსახილველ ცალკეულ საქმეთა სახეობების განსაზღვრის შესახებ“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2021 წლის 07 დეკემბრის №419/თ ბრძანება;

4. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებსა და კანცელარიისა და მისაღები განყოფილების თანამშრომლებს.

**მამია ფხაკაძე**

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს**
**თავმჯდომარე**